



საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის

სახელმწიფო

კონსერვატორია

თბილისი 0108, გრიბოედოვის ქ. N 8-10 ტელ/ფაქსი: (+995 32) 2 999 144,

www.tsc.edu.ge ელ-ფოსტა: info@tsc.edu.ge; inter@tsc.edu.ge



KA000061073492321

№ 01-428-A

22 / ნოემბერი / 2021 წ.

ბრძანება

სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჩასაბერი საკრავების (ინსტრუმენტის) ხელოსან/ამწყობის კანდიდატის შესარჩევი კომისიის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის პირველი პუნქტის და 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ზ“ და „ი“ ქვეპუნქტების და საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის 2014 წლის 07 ივლისის N 05/90 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდების“ მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-16 მუხლის პირველი პუნქტის „ა“, „ვ“, „ზ“ „მ“ და „ო“ ქვეპუნქტების საფუძველზე:

ვბრძანებ:

1.სსიპ - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის ჩასაბერი საკრავების (ინსტრუმენტის) ხელოსან/ამწყობის შერჩევის მიზნით დამტკიცდეს კომისია შემდეგი შემადგენლობით:

ნიკოლოზ თოიძე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის (კომისიის თავმჯდომარე) ;

დავით შამანაური-საორკესტრო ჩასაბერი საკრავების მიმართულების ასისტენტ-პროფესორი (კომისიის მდივანი);

დავით ჯიშკარიანი -საორკესტრო ჩასაბერი საკრავების მიმართულების პროფესორი (კომისიის წევრი) ;

ირაკლი ევსტაფიშვილი-საორკესტრო ჩასაბერი საკრავების მიმართულების ასოცირებული-პროფესორი (კომისიის წევრი) ;

ერეკლე რამიშვილი-შენობის ადმინისტრატორი (კომისიის წევრი) ;

2. დამტკიცდეს საკონკურსო კომისიის მუშაობის წესი (დანართი1);

3.საკონკურსო კომისიის მუშაობის ვადა განისაზღვროს 2021 წლის 24 ნოემბრიდან არაუგვიანეს 2021 წლის 26 ნოემბრისა;

4.ბრძანების შესასრულებლად გადაცემა მასში მოყვანილ დაინტერესებულ პირთათვის დაევალოს კონსერვატორიის საქმეთა წარმოების სამსახურს.

5. ბრძანება განთავსდეს კონსერვატორიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.tsc.edu.ge.

6. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე;

7. წინამდებარე ბრძანება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელემტრონულად



ნიკოლოზ თოიძე